გილოცავთ შობა-ახალ წელს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(159) 2018 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

ერთად იზეიმეს ახალი წლის დადგომა

31 დეკემბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ქ. საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, დია ცის ქვეშ საახალწლო კონცერტი გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლი „გარეჯი“, „პატარა გარეჯელები“, „მი–რე–ლა“, მომღერლები: ირინა ბაირამაშვილი, ნინია მეტრეველი, ნინი გველესიანი თიკა ჯამბურია და სხვები.

დამდეგი ახალი წელი მოსახლეობას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა*** **გიორგი ერგოფონაშვილმა** და ***მერის მოადგილეებმა*** **ალექსი გილაშვილმა** და **პაატა ასრათაშვილმა** მიულოცეს.

ღონისძიებას **პაატა ძვლივიძე და ირინა ბაირამაშვილი** უძღვებოდნენ.

საახალწლო კონცერტი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

ახალი წელი

ღმერთმა დაგვილოცოს გვირგვინი ახალი წლისა

იანვრის ძველი სახელია აპნისი. იანვარი ამ თვეს ძველმა რომაელებმა უწოდეს წარმართული დვთაების, იანუსის სახელის მიხედვით. თვით იანუსის კერპი ორსახოვანი იყო. მისი წინა სახე (ახალგაზრდა) შორს სივრცეში იყურებოდა, უკანა სახე (მოხუცებული) კი, ვალმოხდილი და ჩაფიქრებული, თითქოს ძველისა და ახლის, დასაწყისისა და დასასრულის ერთობას წარმოადგენდა.

ქრისტეს შობამდე ცოტა ხნით ადრე რომაელებმა ახალი წლის აღნიშვნა 1 იანვრიდან დაიწყეს - ეს იყო დიდი სახალხო დღესასწაული რომისათვის დამახასიათებელი წარმართული გართობა-თამაშობებითა და ორგიებით. მანამდე კი რომაელები წელიწადის ათვლას 1 მარტიდან იწყებდნენ.

დროისა და ქვეყნების მიხედვით ახალი წელი იზეიმებოდა: 1 მარტს (სამყაროს შექმნა), 25 მარტს (ხარება), 1 სექტემბერს (იესო ქრისტეს ტაძარში შესვლა; (ლკ. I, 18-19), 27 სექტემბერს (იოანე ნათლისმცემლის მუცლადღება), 25 დეკემბერს (იესო ქრისტეს შობა)...

1594 წელს საფრანგეთის მეფის, კარლოს IX-ის ბრძანებით საფრანგეთში ახალი წლის აღნიშვნა დაიწყო 1 იანვრიდან, რაც შემდგომ თანდათან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. საეკლესიო ტიპიკონით, ახალი წელი ყოველთვის ხსნილია. საქართველოს ყოველ კუთხეში თავისებურად ხვდებიან ამ დღესასწაულს: ახალი წლისათვის ინახება საშობაოდ დაკლული ღორის თავი, რომლის ირგვლივ გაწყობილი სადღესასწაულო კერძებისა და ჭირნახულის სიმრავლე იმედით აღავსებს ოჯახს, აცხობენ განსაკუთრებულ პურებს - „ბასილის კვერებს“ (ამ დღეს აღინიშნება წმიდა ბასილი კესარია-კაბადოკიელის ხსენება), ამზადებენ ჩიჩილაკს „ბასილის წვერებით“ ...

წმიდა ეკლესია ამ დღეს ლოცულობს, „რათა უფალმან ღმერთმან ჩუენმან აკურთხოს დასაწყისი და გადასვლა წლისა... აკურთხოს გვირგვინი მოწევნულისა ამის წელიწადისა სახიერებითა თვისითა და დააცხროს ჩვენს შორის ყოველი მტრობა, უწესობა, ურთიერთს ბრძოლა და მოგვანიჭოს მშვიდობა, მტკიცე და პირუთვნელი სიყვარული, კეთილსახიერებითი თანხმობა და სათნოებითი ცხოვრება“.

სამოქალაქო ცხოვრებაში ახალი, გრიგორიანული კალენდარის დამკვიდრებამ გარკვეული არევ-დარევა გამოიწვია ერში. ახალი სტილით 1 იანვარი საშობაო მარხვაში ხვდება და ქრისტიანების დიდი ნაწილი ნებსით თუ უნებლიეთ, სახსნილო საჭმელით თუ არა მარხვისთვის მიუღებელი მხიარულებით მაინც იზიარებს ხელოვნურად თავსმოხვეულ ახალ წელს, ნამდვილი საახალწლო ზეიმი კი ხელმეორედ აღნიშვნით თითქოს უფერულდება.

წმიდა მამა იოანე ოქროპირი მკაცრად აფრთხილებდა თავის სამწყსოს მონაწილეობა არ მიეღოთ წარმართულ და ქრისტიანებისათვის შეუფერებელ უაზრო გართობებსა და ღრეობებში, წმიდა მამის შეგონების ყურადღება დღეს უფრო გვმართებს, რადგან ახალი სტილით ახალი წელი პრინციპულად უპირისპირდება ძველ, ნამდვილ ახალ წელს.

მადლობა ღმერთს, ერში ჯერ კიდევ დიდია ქრისტანული ტრადიციის გავლენა და იმედია, ღვთის წყალობით ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

ღმერთმა დაგვილოცოს გვირგვინი ახალი წლისა.

საახალწლო მილოცვა

ნუ გავუგზავნით ერთმანეთს რისხვასა და სიძულვილს

ისეთ გარემოში, რომელშიც ახლა გვიწევს ცხოვრება - ძალიან ძნელია, წინასაახალწლოდ მოძებნო სიტყვა, რომელიც მიმავალ წელს რაიმეთი დაამშვიდებს და მომავალს კი უკეთესის იმედით გაუთბობს გულს.

არადა მოლოდინი, მოლოდინი მომავლისა, მარადიული მფეთქავი ძარღვი კაცობრიობისა, მუდმივად წამქეზებელი წუთისოფლისა-არ გვაძლევს გასაქანს, რომ ახლანდელი წასულ წელს დავამგზავროთ და ჩვენი, მუდმივად უკეთესისკენ მიმართული მზერა ხვალინდელს არ მივაპყროთ.

ამჯერადაც ასე მოვიქცევით-ყველა იმ უბედურებას, რაც მოვაწიეთ თავსა და ქვეყანას, ამ საცოდავ წელს ავკიდებთ და თუ მომავალ წელსაც ამის იმედით ავედევნებით, მოსალოციც არდარა გვქონია რა, არდარა დაგვრჩენია რა. ერთხელ მაინც, თუნდაც ერთხელ- ნურც ძველ წელს გავწირავთ, ნურც მომავალს ჩავაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში და სწორედ ასეთი წლის მოლოდინი მინდა მოგილოცოთ თქვენ და ჩემს ასეთი ბედნიერი წლის მოლოდინით დაღლილ ქვეყანას...

მიიღეთ ჩემგან უსაზღვრო სიყვარული საახალწლო მოლოცვად.

თქვენით სავსე და უთქვენოდ მტვერზეც მცირე

პოეტი *ტარიელ ხარხელაური*

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

9 იანვარი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას საკრებულოს 27 წევრი ესწრებოდა. სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მომსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 ნოემბრის №30 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა პახაბერ მარბებაძემ*** (თანამომხსენებელი – საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ უსტიაშვილი**).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნული დადგენილების პროექტის წარმოდგენა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

2017 წლის წლის 1 ივლისს ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები. მათ შორის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილება. ძალადაკარგულად გამოცხადებულ კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, ასევე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 ნოემბრის №30 დადგენილება.

აღნიშნული საკითხის განხილვისას შეკითხვები დასვა საკრებულოს წევრმა გარსევან ბუხნიკაშვილმა, რომელზედაც პასუხები გასცა მომხსენებელმა და თანამომხსენებელმა.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერისთვის შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა პახაბერ მარბებაძემ*** (თანამომხსენებელი – საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ უსტიაშვილი**). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტი შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის – შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის დაფუძნების თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის მერი „საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ“;

აღნიშნული შპს იქმნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით და მის ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია.

შპს-ს საქმიანობის სფერო მოიცავს:

– დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის ორგანიზება;

– ნარჩენების შეგროვება, განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება და განთავსება;

– დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის სფეროს რეგულირებისათვის საჭირო წესების, პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და მისი განხორციელება;

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (გარდა სოფლებისა: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, წყაროსთავი, პატარძეული, თოხლიაური, მანავი) არსებული სანიაღვრე არხების დასუფთავება;

– ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო აღჭურვილობის მართვა;

საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული და ეკონომიური საქმიანობა, რაც პირდაპირ და არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, არ შედის სხვა დაწესებულებების კომპეტენციაში და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შპს-ს წესდებით.

შპს-ს მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება, დამატებითი შემოსავლის სახით აისახება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

პროექტის მიღება ითვალისწინებს ბიუჯეტში ცვლილებებს.

პროექტის ინიციატორია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ თავისი მოსაზრება გამოთქვა საკრებულოს წევრმა გარსევან ბუხნიკაშვილმა, დასვა შეკითხვები, რომელთაც მომხსენებელმა და თანამომხსენებელმა უპასუხეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

9 იანვარი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციული თათბირი ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა*** **ალექსი ბილაშვილმა** და **პაატა ასრათაშვილმა** წარმართეს. მათ გომბორის, ხაშმის, მანავის მერის წარმომადგენლებისაგან მოისმინეს სოფლების ინფრასტრუქტურაში არსებული პრობლემები. მათ წარმოდგენილ საკითხებზე მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის სამსახურის უფროს გიორგი ქურდოვანიძესთან ერთად მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები და კონკრეტული დავალებები მიეცა შპს „საგარეჯოს“ დირექტორის მოადგილეს ლევან ქვლივიძეს შპს-ის თანამშრომლებთან ერთად აღნიშნული საკითხის ოპტიმალურ ვადებში მოწესრიგებისათვის.

თათბირზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა გასულ წელს მათ მიერ გამოჩენილი ინტერესისა და კოოპერატივების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ საკითხებში აქტიური მონაწილეობისათვის, მუნიციპალიტეტის ფერმერთათვის თანადგომისა და „რთველი-2017“-ის ორგანიზებულად ჩატარებაში მიღებული წვლილისათვის.

მუნიციპალიტეტის მერია

შობა-ახალი წელი საჩუქრებით მიულოცეს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **გიორგი ერგოფონაშვილი,** მერის მოადგილეები **ალექსი გილაშვილი, პაატა ასრათაშვილი,** ***მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი*** **სოფო შაქარაშვილი** და მერიის თანამშრომლები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლების“ ბენეფიციარებს, სოციალურად დაუცველებს და ლტოლვილებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ომის ვეტერანებს ესტუმრნენ, დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათები პირადად გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 500-მა ბენეფიციარმა მიიღო. აღნიშნული ოჯახები მუნიციპალიტეტის მასშტაბით მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებამ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად შეარჩია.

დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი-2018 წელი

ვრიორიტეტების გათვალისწინებით

2017 წლის 27 დეკემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მოსმენილ, განხილულ და დამტკიცებულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი. საკითხი სხდომაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა ხათუნა ყორღანაშვილმა გამოიტანა. როგორც მან აღნიშნა:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 10 314,5 ათას ლარს.

– შემოსავლები შეადგენს 10 214,5 ათას ლარს, გადასახადები -3050 ათას ლარს, გრანტები- 5994,5 ათას ლარს; სხვა შემოსავლები - 1170 ათას ლარს; ხარჯები - 8370,4 ათას ლარს; შრომის ანაზღაურება - 1904,4 ათას ლარს; საქონელი და მომსახურება -2020,6 ათას ლარს; პროცენტი-(0) ლარს; სუბსიდიები -3654 ათას ლარს; გრანტები-12,5 ათას ლარს; სოციალური უზრუნველყოფა- 650 ათას ლარს; სხვა ხარჯები-128,9 ათას ლარს; საოპერაციო სალდო - 1844,1 ათას ლარს; არაფინანსური აქტივების ცვლილება -1844,1 ათას ლარს; მთლიანი სალდო - (0) ლარს; ვალდებულებების ცვლილება - (0) ლარს.

– შემოსულობები შეადგენს 10 314.5 ათას ლარს.

– ქონების გადასახადი განისაზღვრა 2550.0 ათასი ლარით, აქედან:

– გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგენს 725.0 ათას ლარს;

– გადასახადი ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგენს 15.0 ათას ლარს;

– გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შეადგენს 1560.0 ათას ლარს, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 1080.0 ათას ლარს, იურიდიული პირებიდან - 480.0 ათას ლარს;

– გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შეადგენს 250,0 ათას ლარს;

– გრანტები შეადგენს 5994.5 ათას ლარს.

– გათანაბრებითი ტრანსფერი განსაზღვრულია 5784.5 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი 210.0 ათასი ლარით;

– სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 1170.0 ათასი ლარით, აქედან

– შემოსავლები პროცენტებიდან შეადგენს 80.0 ათას ლარს;

– მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შეადგენს 500.0 ათას ლარს;

– ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები განსაზღვრულია 74 ათასი ლარით; მათ შორის სანებართვო მოსაკრებელი - 32 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 40 ათასი ლარით;

– არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შეადგენს 6 ათას ლარს;

– ჯარიმები, სანქციები და საურავები შეადგენს 500,0 ათას ლარს;

– არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარით;

– არაწარმოებული აქტივები -100,0 ათას ლარს;

– რაც შეეხება გადასახდელებს, წლიური ასიგნებები განსაზღვრულია 10 314.5 ათ.ლარით;

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება შეადგენს 3016.4 ათას ლარს, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები -663.5 ათას ლარს, მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯები 2150.9 ათას ლარს;

– სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 200 ათასი ლარით;

– ვალდებულებების კლება განსაზღვრულია 0 ლარით; პროცენტი -0 ლარით;

– თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაფინანსება შეადგენს 119 ათას ლარს. აქედან

– ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 119.0 ათასი ლარი;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება 2960,3 ათასი ლარით;

– ამ პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია დაფინანსდება 1137,8 ათასი ლარით; დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსდება 640,7 ათასი ლარით; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვაზე გათვალისწინებულია 161,2 ათასი ლარი; გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდება 473.0 ათასი ლარი; სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია- 31,8 ათასი ლარი; კეთილმოწყობის ღონისძიებებზე -100,0 ათასი ლარი. სანიაღვრე და სარწყავი არხების აღდგენის ხარჯები შეადგენს 30.0 ათას ლარს; ა(ა)იპ„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევა” კვლავ დაფინანსდება 240.0 ათასი ლარით. შპს „საგარეჯო“ -145,8 ათასი ლარი.

განათლების სფეროზე ასიგნება შეადგენს 1951,8 ათას ლარს; მათ შორის: ა(ა)იპ „სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების” სუბსიდია - 1835,9 ათასი ლარით, სკოლამდელი დაწესებულებები 43,7 ათასი ლარი; ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება” – 72,2 ათასი ლარით.

კულტურისა და სპორტის ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 1282 ათასი ლარი; მათ შორის

– ა(ა)იპ “საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა” დაფინანსდება 40.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება”-498,6 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიების ხარჯი -40 ათასი ლარით, ა(ა)იპ “ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა”-124,3 ათასი ლარით, სხვა ხარჯები კულტურის ხაზით -121,8 ათასი ლარით, ა(ა)იპ “კულტურის ობიექტების გაერთიანება”-399,6 ათასი ლარით, საგამომცემლო საქმიანობა (გაზეთი „გარეჯის მაცნე“) – 24.0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯები -33,7 ათასი ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდება 985.0 ათასი ლარით, მათ შორის

– სოფლის ამბულატორიების მომსახურება - 3,9 ათასი ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 89.0 ათასი ლარით, ომის მონაწილეთა დახმარების და სარიტუალო ხარჯები -2,5 ათასი ლარით, უფასო კვების პროგრამა - 184,58 ათასი ლარით, მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა - 1,8 ათასი ლარით, სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია -34,5 ათასი ლარით, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 580.0 ათასი ლარით, ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა-12.0 ათასი ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში -39.0 ათასი ლარით, დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა -6.0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა - 22,5 ათასი ლარით, ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა-6000 ათასი ლარი, მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა -3000 ლარი.

სოფლის მეურნეობა-2017

ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობით

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში უმთავრეს როლს ასრულებს. ამიტომაც მიზნად დასახულია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პოტენციალის მაქსიმალური ათვისების ხელშეწყობა

გასული წელი სოფლის მეურნეობის დარგისათვის რთული იყო. არასასურველ კლიმატურ პირობებს ახალი ინვაზიური მავნებლის – აზიური ფაროსანას გავრცელებაც დაემატა.

სირთულეებთან ერთად 2017 წელს წარმატებებიც გქვონდა ღვინის ექსპორტის ზრდის კუთხით, წარმატებით ჩაიარა რთველმაც. დარგში გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, თუმცა გამოწვევებიც ბევრია და შესაბამისად ჩვენი შესაძლებლობები სრულად უნდა გამოვიყენოთ.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის (შემდგომში ტექსტში სამსახური) მცდელობას მოგაწოდოთ ინფორმაცია 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სამსახურის დებულებიდან გამომდინარე საქმიანობას ვახორციელებდით ძირითადში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით (ცალკეული გამონაკლისების გარდა). ვახდენდით მონაცემების შეგროვება-დამუშავებას ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზების შესაქმნელად, ვახორციელებდით დაინტერესებულ პირებზე კონსულტაციების გაცემას, ჩართულები ვიყავით სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, ვმონაწილეობდით სტიქიის შედეგების აღწერაში, ვახდენდით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზებას, ვთანამშრომლობდით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ვიმყოფებოდით კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე და შეხვედრებზე, მთლიანობაში სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 37 სამუშაო შეხვედრაში და 26 ტრენინგში, „რთველი 2017“-ის ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებებში ჩართული იყო სამსახურის 2 თანამშრომელი.

2017 წლის განმავლობაში დამუშავდა 52 ოპერატიული ინფორმაცია, ჩატარდა 412 კონსულტაცია, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაიცა 22 ცნობა მრავალწლოვანი ბაღების გასაშენებლად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გაზაფხულზე ოთხჯერ დაფიქსირდა სტიქიური მოვლენა, 20-21 მარტის ძლიერმა ქარებმა რვა ტერიტორიულ ორგანოში დააზიანა საშემოდგომო ნათესები 1910 ჰექტარზე, 26 აპრილის წაყინვის შედეგად 10 ტერიტორიულ ორგანოში დაზიანდა ვენახების ფართობები,10-11და 26 ივნისს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში სეტყვის შედეგად სხვადასხვა პროცენტით დაზიანდა მრავალწლოვანი ნარგავები. მთლიანად მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 16400000 ლარი,დაზიანებულმა ფართობებმა – 2110 ჰექტარი, დაზარალდა 950 ფერმერი.

მთელი წლის განმავლობაში სამსახური სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიულად აწვდიდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიით გამოწვეული ზარალის, აგროდაზღვევაში არსებული შეფერხებების და სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მუშაობის შესახებ. ყოველ კვირეულად ვახდენდით აგრარულ ბაზრებზე არსებული ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მის გადაცემას შესაბამის სამსახურებში, ასევე, ყოველ კვირეულად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიეწოდებოდა ინფორმაცია საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების, მოხნული და დათესილი ფართობების შესახებ.

სამინისტროდან მიღებული წერილების პასუხად შევისწავლეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის პრივატაზაციის და იჯარით გაცემის საკითხები, ცხვრის გადასარეკი ტრასის არსებული მდგომარეობა და ფაქტობრივი გამოყენება.

ჩართულები ვართ ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის პროგრამაში „საველე პირობებში სიმინდისა და ხორბლის მოსავლიანობის განსაზღვრის შესახებ“.

2017 წლის განმავლობაში ხორბლის მოსავლიანობის კვლევა ჩავატარეთ 789,5 ჰექტარზე 16 ფერმერთან შემდეგ სოფლებში:

1. სათაფლე 1 ფერმერი,5 ჰა-ზე;
2. ნინოწმინდა 3 ფერმერი,138 ჰა-ზე;
3. უდაბნო 1 ფერმერი,150 ჰა-ზე;
4. გიორგიწმინდა 2 ფერმერი, 38 ჰა-ზე;
5. პატარძეული 2 ფერმერი, 38 ჰა-ზე;
6. ქ.საგარეჯო 5 ფერმერი, 213ჰა-ზე;
7. იორმუღანლო 1 ფერმერი, 200 ჰა-ზე;
8. ხაშმი 1 ფერმერი, 7,5 ჰა-ზე.

სიმინდის მოსავლიანობის კვლევა ჩატარდა 4 ტერიტორიულ ორგანოში 205,6 ჰა-ზე 10 ფერმერთან კერძოდ:

1. გიორგიწმინდა 2 ფერმერი, 35 ჰა-ზე;
2. ქ.საგარეჯო 6 ფერმერი, 146 ჰა-ზე;
3. ნინოწმინდა 1 ფერმერი, 24 ჰა-ზე;
4. ბადიაური 1 ფერმერი, 0,6 ჰა-ზე.

2017 წელს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესმა ფართობებმა და მოსავალმა შეადგინა:

ხორბალი 6150 ჰა,12200ტ;
ქერი 1830 ჰა, 3300ტ;
სიმინდი 5545 ჰა, 24520ტ;
მზესუმზირა 1551ჰა, 833ტ;
ბოსტნეული სულ 350 ჰა,3251ტ;
ბაღჩეული სულ 595 ჰა, 9850 ტ.

ვენახების ფართობებმა მიაღწია 4900 ჰექტარს, მიღებული იქნა 22005 ტ. ყურძენი.

ატმის (ვაშლატამას ჩათვლით) ფართობებია 104 ჰა,მიღებულია 1040ტ. ატამი.

2017 წლის განმავლობაში გაშენდა; ვენახი-164 ჰა, თხილი-32 ჰა, კაკალი- 41 ჰა, ნუში-477 ჰა, ვაშლი – 10 ჰა, ქლიავი-13 ჰა, ჟოლო-2 ჰა, ხურმა- 5 ჰა, ვაზის სადედე- 2ჰა.

მუნიციპალიტეტში წარმოებული 22005 ტონა ყურძნიდან ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 6749 ტ. რქაწითელი, 1018ტ. კახური მწვანე, 5298 ტ. საფერავი, 65 ტ. სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, დანარჩენი ყურძნის ნაწილი რეალიზებული იქნა საცალო და საბითუმო ბაზრებზე, ნაწილი კი გადამუშავდა თვითონ ფერმერების მიერ.

მთლიანად მუნიციპალიტეტის მევენახე ფერმერებმა ყურძნის რეალიზაციიდან შემოსავლის სახით მიიღეს დაახლოებით 20 მილიონი ლარის შემოსავალი.

2018 წლის მოსავლის ქვეშ საშემოდგომოდ მოხნულია 10800 ჰა,აქედან დათესილია 10000ჰა, მათ შორის საშემოდგომო ხორბალი 8100ჰა, საშემოდგომო ქერი 1800ჰა, იონჯა 100 ჰა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პირუტყვის სულადობებმა შეადგინა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 33324 სული, ღორი – 5011 სული, ცხვარი – 234870 სული, თხა – 7627 სული, ფრინველი – 641321 ფრთა, ფუტკარი – 4459 ოჯახი. 2017 წელს ფუნქციონირებდა მეთევზეობის 7 ტბორი.

ამავე პერიოდისათვის მეცხოველეობაში წარმოებულია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი 1366 ტ., ცხვრის ხორცი – 2113,8ტ., თხის ხორცი – 152,5ტ., ღორის ხორცი 225,5ტ, ქათმის ხორცი – 371,4ტ, კვერცხი – 99442000 ცალი, მატყლი – 587,2ტ, რძე – 223490ტ, თაფლი – 44,6ტ.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები არიან წვრილ გლეხური (ოჯახური) მეურნეობები, რის გამოც გვაქვს პროდუქტიულობის დაბალი დონე, წარმოებული პროდუქცია არის ძვირი საზღვარგარეთიდან შემოსულ ანალოგებთან შედარებით. ფერმერებს არ გაჩნიათ არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები დამოუკიდებლად ფეხზე დასადგომად. მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობის მიერ არჩეული გზა – ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მისასალმებელია და მიზანმიმართულად მიგვაჩნია.

საყურადღებოა, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით, რასაც აგროსამრეწველო ინტეგრაციის და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნის და მათი გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით, ასეთი სისტემის ფორმირებით გლეხებს მიეცემათ აგრონედლეულის წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შესაძლებლობა,სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და აგრონედლეულის მწარმობლები დაინტერესებულნი იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგებით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობა სახელმწიფოსთან ერთად ორიენტირებული უნდა იყოს სასოფლო ტერიტორიაზე სადღეისოდ არსებული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო და სხვა პრობლემების მოგვარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება. ამასთან, ფერმერებმა თვითონაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად ამაღლებაზე ევროსტანდარტების შესაბამისად,სხვანაირად შეუძლებელია რაიმე პროგრესის მიღწევა აგროსამრეწველო სექტორში.

კოოპერაციული წარმოების ორგანიზაციული ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს სასოფლო პროდუქციის მწარმოებელთა მიმზიდველობას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაფართოებას და ემსახურებოდეს მათი პრობლემების გადაწყვეტას. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა დაუთმონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოგვარებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჩვენი სამსახურის აქტიური მუშაობით რეგისტრირებული იყო 41 კოოპერატივი. კოოპერატივების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო 12 კოოპერატივს შეუწყდა სტატუსი. მოქმედი კოოპერატივებიდან თითქმის ნახევარზე მეტი ჩართული იყო სამთავრობო და არასმთავრობო სხვადასხვა პროგრამებში, საიდანაც მიიღეს შესაბამისი გრანტები, ხოლო მაღალმთიანი სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „პალდოველი 2014“ (გამგეობის თავმჯდომარე ლეილა



ციგროშვილი) ჩაერთო მაღალმთიანი სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამთავრობო პროგრამაში და უახლოეს პერიოდში გრანტის სახით გადაეცემა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

2017 წლის განმავლობაში ჩვენს სამსახურს ჩატარებული გვაქვს 24 გასვლითი შეხვედრა,სადაც დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 480 კაცი. შეხვედრები შეეხო ძირითადში შემდეგ საკითხებს:დანერგე მომავალი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, აგროდაზღვევა,მევენახეობა,მავნებელ დავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები და სოფლის მეურნეობის სხვა ზოგადი საკითხები.

გარდა აღნიშნულისა მობილური ექსტენციის ფარგლებში (ჩვენი სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად) მუნიციპალიტეტის 4 სოფელში ჩავატარეთ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები,დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 80 კაცი,საკონსულტაციო თემები იყო: მარცვლეული კულტურების მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები და მევენახეობაში არსებულ დავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები.

მოკლედ შევაფასებთ მუნიციპალიტეტში მოქმედი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ების,ა(ა)იპ-ების და შპს-ების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას და ურთიერთთანამშრომლობას.

სურსათის ეროვნული სააგენტოს, კახეთის რეგიონული სამართველოს მიერ, ამავე სამმართველოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინსპექტორების ინფორმაციით გატარებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ვაქცინაცია:

1. თურქულზე: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 27242 სული, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი – 88474 სული;
2. ჯილეხზე: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 18524 სული, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი – 170882 სული, კენტჩლიქოვანი – 436 სული;
3. ყვავილზე:
სულ ყველა სახეობა – 12900 სული;
4. ჭირზე;
სულ ყველა სახეობა – 85160 სული;
5. ცოფზე;
სულ ყველა სახეობა – 7160 სული.

ბ) იდენტფიცირება:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 22727 სული;
2. წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი – 5221 სული.

მუნიციპალიტეტში არსებული სასაკლაოების მიერ გადამუშავდა 910 ტონა ხორცი.

მცენარეთა დაცვის კუთხით გატარდა შემდეგი ღონისძიებები: მცენარეთა სხვადასხვა მავნებელ-დავადებების გამოვლენაზე მონიტორინგი ჩატარდა 1222,5 ჰა-ზე, მათი რეკომენდაციით ჩატარდა მინერალური ზეთით და ცისფერი წამლობები, მოხდა ძირების ჩამოფხეკა, კომბინირებული წამლობები ჩატარდა 4-ჯერ.

ვენახში 100 ჰა შეიწამლა ყურძნის ჭიაზე, ვაზის ტკიპის საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა 2250 ჰა-ზე, ვაზის იმერულ

დასასრული მე-5 გვერდზე

სოფლის მეურნეობა-2017

ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობით

<u>დასასრული</u>

ბაგიშა ცრუფარიანაზე 55ჰა-ზე.

მუნიციპალიტეტში გატარებული ღონისძიებების შედეგად მევენახეობაში ფაქტიურად აღმოფხვრილია ნაცრის პრობლემა (დავადების აღმოსაფხვრელად ვენახები შეიწამლა 4-ჯერ), ჭრაქის საწინააღმდეგი წამლობები ვენახების მთელ ფართობებზე ჩატარდა 7-ჯერ.

ივნისის თვეში აზიური ფაროსანას დაფიქსირების მიზნით დაკიდებული იქნა 100 ცალი ფერომენი,მეორე 100 ცალი კი დაიკიდა სექტემბერში. გამოკვლევების შედეგად მავნებელი არ დაფიქსირებულა.

2017 წლის განმავლობასი გაცემული იქნა 27 სიგნალი და 23 სერთიფიკატი.

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპაანიის კახეთის რეგიონალური სამმართველოს ქვემო სამგორის სერვის ცენტრის მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა:

1. მარცხენა მაგისტრალურ არხზე ლაკბეს ხეობაში წყალშემკრებისა და მილსადენის რემონტი;
2. მარჯვენა მაგისტრალურ არხზე გ-27 გამანაწილებლის დამატებითი კვება მიწის არხის სახით,მოხდა კ-4 და კ-25 გამანააწილებლების გაწმენდა,გ-19 გამანაწილებლის მოწყობა-რემონტი;
3. მარჯვენა მაგისტრალური არხის და სათავე- ნაგებობის ელ.მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს მეორე ეტაპი;
4. დასრულდა მარცხენა მაგისტრალური არხის № 40გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
5. მიმდინარეობს მარჯვენა მაგისტრალურ არხზე №2 გამანაწილებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
6. რებილიტაცია ჩაუტარდა მარცხენა მაგისტრალური არხის 14 კმ-ს;
7. გ-1-დან გ-8-ის ჩათვლით გარემონტდა მარჯვენა მაგისტრალური არხის შიდა ქსელი;
8. მთლიანად დასრულდა მარცხენა მაგისტრალური არხის № 33 გამანაწილებლის რემონტი;
9. დასრულდა სოფელ ხაშმში სარწყავი სისტემის გაწმენდითი სამუშაოები;
10. სოფელ ბადიაურში ნაწილობრივ შესრულდა №34-2 გამანაწილებლის წმენდისა და დაზიანებული ნაწილების აღდგენა;
11. მთლიანად დასრულდა მარჯვენა მაგისტრალური არხის №33 გამანაწილებლის რემონტი;
12. დასრულდა „მშრალი ხევის“ მექანიზმებით წმენდის სამუშაოები.

შპს „მექანიზატორის“ მიერ 2017 წლის გაზაფხულზე მოიხნა 800 ჰექტარი,ხოლო შემოდგომაზე 1000 ჰექტარი,აქედან 200 ჰა-ზე განხორციელდა ღრმად ხვნა მრავალწლოვანი ნარგაობების გასაშენებლად. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ამავე პერიოდში დაითესა 1200 ჰექტარი, აქედან 500 ჰა ხორბალი.600 ჰა სიმინდი, ასევე განხორციელდა სხვადასხვა კულტურების თესვა, მათი კომბაინების მიერ აღებულია 500 ჰა. ხორბალი და ქერი, 400ჰა. სიმინდი.

შპს „მექანიზატორის“ წარმომადგენლები ყოველკვირა ახორციელებენ მონიტორინგს ჩატარებული აგროტექნიკური სამუშაოების ხარისხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. მარხვაშვილი) დღეის მდგომარეობით შესრულებული სამუშაოს მოცულობით ქვეყნის მასშტაბით არის პირველ ადგილზე.

ჩვენი სამსახურის ხელშეწყობით 2017 წელს არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელდა შემდეგი პროექტები და სამუშაოები:

1. Volkswagen-ის ფონდის პროექტის „საერთო საძოვრების კოლექტიური მართვა და კონფლიქტების” ფარგლებში გომბორის ტერიტორიულ ორგანოში ჩატარდა საერთო საძოვრების გამოკვლევა და მისი პოტენციალის შესწავლა;
2. FAO-ს მხარდაჭერით ამუშავდა აგრომეტეოსადგურებიდან მევენახეებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის პროგრამა, რომელიც გულისხმობს რეკომენდაციას მოსალოდნელ დაავადებებსა და განსახორციელებელი პრევენციული ზომების მიღებას. აღნიშნულ საკითხზე ჩვენმა სამსახურმა მოვიძიეთ ბენეფიციართა ინფორმაცია და მოვაწყეთ მათთან საინფორმაციო შეხვედრები.
3. არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრაქტორის“ მიერ და ჩვენი სამსახურის ჩართულობით მუნიციპალიტეტის ფერმერებს გადაეცათ სპეციალური ფასდაკლების ბარათები,რითაც შესაძლებელი იყო მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგო შესაწამლი პრეპერატების ფასდაკლებით შეძენა.

2017 წლის განმავლობაში აქტიურად ვითანამშრომლეთ შემდეგ საერთაშორისო ორგანისაციებთან: ENPARD-ი,Mersycorps-ი,Heks-Eper,FAO,USAID-ი.

დავიწყეთ დახმარებების გაწევა მუნიციპალიტეტში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ადმინისტრაციული და საბუღალტრო საქმის წარმოების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

კარგი და ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოველკვირეულ თათბირზე ხდება მთავრობის და სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობის კუთხით განსახორციელებელი პროგრამების და პროექტების გაცნობა.

მომავალში გათვალისწინებული გვაქვს მცირე ფართობებზე სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, ვგეგმავთ მუნიციპალიტეტის ფერმერებთან და თვითმმართველობის ორგანოებთან რამდენიმე სემინარის ჩატარებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემატიკა არ განსხვავდება საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტისაგან. ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომელთა მოუგვარებლობა აფერხებს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებას კერძოდ;

დაუმუშავებელი მიწების პრობლემა;

მიწების პრივატიზაციის ქაოტურად ჩატარების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობები გადაეცა კერძო საკუთრებაში და ერთჯერადად შეივსო სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო ხელშეკრულებაში სათანადო პირობების გაუთვალისწინებლობის შედეგად ამ ფართობების ნაწილზე არ იწარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ცხადია, ამ საქმეში საჭიროა რადიკალური ზომების მიღება;

– ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო მიწების ინვენტარიზაცია. უნდა არსებობდეს მიწის კადასტრი. ეს პროცესი დაწყებულია, მაგრამ აუცილებელია მისი დაჩქარება;

– ფერმერთა და აგრომწარმოებელთა სოფლის მეურნეობის კუთხით განათლების დაბალი დონე;

– მოძველებული ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;

– თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი და სიძვირე;

– გადამამუშავებელი და სასაწყობო (შესანახი) ინფრასტრუქტურის არარსებობა;

– სანერგე და სათესლე მეურნეობების არარსებობა;

– მიწების დანაწევრება;

– კოოპერაციის დაბალი დონე;

– მცირე ფერმერთა ხელმიუწვდომლობა ფინანსურ რესურსებზე (დიდი ხანია ვრცელდება მოსაზრება და აუცილებლობა ქვეყანაში აგრობანკის ჩამოყალიბების შესახებ. აგრობანკისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის დაბალპროცენტიანი მაქსიმუმ 3%-

იანი გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გაცემა და მისი ორიენტაცია უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაყრდნობით);

– სამელიორაციო ქსელების და სატუმბი სადგურების გაუმართაობა;

– მუნიციპალიტეტის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ერთი ნაწილი საჭიროებს ზედაპირულ გაუმჯობესებას,ხოლო გარკვეული ნაწილი კი სერიოზული ტექნიკური სამუშაოების ჩატაარებას;

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადასარეკი ტრასა. ტრასის მთელ სიგრძეზე პატარძეულის მინდორ „ნაცვალწყლამდე“ (ეს კი არის ტრასის დაბოლოება) არსად არ არის საქონლის დასარწყულებელი ადგილი. ტრასის დასაწყისიდან ნაცვალწყლამდე მისვლას მინიმუმ 2 დღე მაინც სჭირდება. ყოფილი წყალმომარაგების სისტემა ექსპლოატაციიდან არის გამოსული. მწყემსები მეტწილად თავს არიდებენ აღნიშნული ტრასით სარგებლობას და იყენებენ სხვა მიმართულებებს, რითაც დიდ ზიანს აყენებენ მოსახლეობის ნათეს ფართობებს, კონტროლის უქონლობის გამო ტრასაზე არ არის დაცული ვეტერინარული ნორმები, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ინფექციური დავადებების გავრცელებისათვის.

ბოლოს გვინდა მივულოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის აგრარულ სფეროში დასაქმებულებს და ვუსურვოთ წარმატებები თავიანთ საქმიანობაში. აქვე გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებს ჩვენი საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გივი მათიაშვილი
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ინფრასტრუქტურა 2017-2018

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგარეჯოს სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები

დ. მაისურაძის ფოტოები

მართლმადიდებლობა

დაბადებიდან – 85
პატრიარქობის – 40



სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის შემდეგ ქადაგებისას პატრიარქის მოსაყდრემ მეუფე შიომ ილია მეორის აღსაყდრების 40 წლის იუბილეზე იქადაგა.

"ხვალ არის დიდი დღესასწაული ჩვენი ერისა და ეკლესიის - არის 40 წლის იუბილე ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრებიდან. დღეს კიდევ ერთხელ ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ჩვენს ძვირფას პატრიარქს ამ დღეს. იგი 40 წლის განმავლობაში და მანამდეც, როდესაც მდვდელმთავარი იყო, მიუძღოდა და მიუძღვის ჩვენს ერს, როგორც მოსე წინასწარმეტყველი, აღთქმული ქვეყნისკენ, უფლისკენ, სწორედ უფლის სიხარულში, უფლის სერობაში მონაწილეობისკენ. ამიტომ ვუსურვოთ დღეგრძელობა, სიხარული, გამარჯვებები და მასთან ერთად მოვესწროთ მრავალ გამარჯვებას ჩვენი ერისა ეკლესიისა და ჩვენს გამთლიანებას", - განაცხადა მეუფე შიომ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 40 წელი 2017 წლის 25 დეკემბერს შეუსრულდა, 4 იანვარს კი დაბადებიდან 85 წლისთავი.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს.

ეს ჩვენი წარსულია
აქედან იწყება საგარეჯოს ისტორია

პეტრე-პავლეს ეკლესია

პეტრე-პავლეს ეკლესია მდებარეობს ქ. საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით მდ. თვალთხევის მარჯვენა სანაპიროდან დაახლოებით 300-400 მეტრის დაშორებით. ქალაქის რომელი მხრიდანაც არ უნდა გაიხედოთ, იგი ყველა მხრიდან ჩანს. პეტრე – პავლეს ეკლესიას ჩრდილო-დასავლეთით აკრავს ტყით შემოსილი მაღალი მთა, რომელსაც „კოცნაძეულს" უწოდებენ. ამოსავლეთიდან და სამხრეთიდან ეკვრის ბაღ-ვენახებში ჩაფლული საცხოვრებელი უბნები. პეტრე – პავლედან ულამაზეს პანორამად იშლება საგარეჯოს ყოველი კუთხე-კუნჭული. ეკლესიის ისტორიის შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. იგი აშენებულა ნადარბაზევზე. მისი მშენებლობის დროს აქ მჭიდრო დასახლება ყოფილა, შემდეგ კი მოსახლეობა დაბლა, ვაკე ადგილზე მდ. თვალთხევის სანაპიროზე დასახლებულა. ამჟამად ეკლესიის შემოგარენის გარკვეულ ტერიტორიაზე სასაფლაოა. დადგენილია, რომ იგი ააშენა 1710-1712 წლებში დავით-გარეჯის მონასტრების წინამძღვარმა, ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე ონოფრე მაჭუტაძემ (1690-1733 წწ.) მისი პირადი ბიოგრაფიის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ლევან ბატონიშვილის ერთი საბუთით ვარკვევთ, რომ საერო ცხოვრებაში მას ოთარი ერქვა. 1690 წლის მარტის საეკლესიო კრების დადგენილებით ოთარი ონოფრედ მოუნათლავთ, გაუმწესებიათ გარეჯის მონასტრების წინამძღვრად. გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1733 წ. (თ. ჟორდანია, „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები", გვ. 60) დაკრძალვის ადგილი დაუდგენელია. ხანდაზმული ადამიანები მიუთითებენ მის საფლავს პეტრე – პავლეს ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე ერთ ქვაზე, რომელსაც წარწერა ჰქონია ნუსხა-ხუცურით. დროთა ვითარებას წაუშლია და ამჟამად მხოლოდ სუსტად შესამჩნევი ორნამენტიღა ამშვენებს. გადმოცემის საფუძვლიანობას ამტკიცებს ისიც, რომ გარდაცვალების წლებში გარეჯის მონასტრები დიდ თავდასხმებს და აწიოკებას განიცდიდა. სავარაუდოა, სწორედ ამიტომ გაატარა მაჭუტაძემ აქ სიცოცხლის ბოლო წლები, აქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა. ქვეყანაში არსებული ძნელბედობის გამო მისი ნეშტის გადასვენება დავით-გარეჯის უდაბნოში ვერ მოხერხდა. ონოფრე მაჭუტაძე თავისი დროის დიდად განსწავლული და მოაზროვნე პიროვნება ყოფილა. როგორც ვიცით, XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მეტად გავრცელდა ტყვის სყიდვა. გარეჯის მონასტერი ონოფრე მაჭუტაძის უშუალო ხელმძღვანელობით ჩაება ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხშირად, შესაძლებლობების ფარგლებში საკუთარი თანხებითაც კი იხსნიდა ტყვეებს და ასახლებდა მონასტრის მიწებზე (ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება", II გამოცემა, ზ. ჭიჭინაძის, თბ. 1913წ. გვ. 103). წინამძღვრობისას მას დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოუჩენია, აღუდგენია დანგრეული მონასტრები, ბევრი ახალი ნაგებობა აუგია. მან თავისი წინამძღვრობის პირველ წლებში დაიბრუნა დავით გარეჯის მონასტრების ყოფილი ყმა-მამულები. საგარეჯოს მამულები მას დიდ შემოსავალს აძლევდა, რომლის ნაწილიც მოახმარა სოფ. თვალზე (დღ. საგარეჯო) თავისი მრევლისათვის ეკლესიის მშენებლობას. ერთ გუჯარში, რომელიც 1712 წლითაა დათარიღებული, ჩამოთვლილია ის ღვაწლი, რომელიც ო. მაჭუტაძეს გაუკეთებია: „აღვაშენე თვალზე საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატიოსანის ჯვრითა, სიწმინდის იარაღითა, შესამოსითა და წიგნებითა" (თ. ჟორდანია,) ეკლესია ნაკურთხია წმინდა მოციქულების პეტრეს და პავლეს სახელზე. ეკლესიის მშენებლობის დროს ბერძენ ხუროთმოძღვრებთან ერთად ონოფრე მაჭუტაძეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოუყვანია ქვისმთლელები, ჩუქურთმის მომჭრელი ოსტატები, ხუროები, მხატვრები. მათი მეშვეობით მოუხატია და სამონასტრო ინვენტარით შეუმკია ახლად აშენებული ეკლესია. პეტრე-პავლე დარბაზული ტიპის, თაღოვანი ნაგებობაა, რომლის კუთხეები, კარნიზი და კარ-სარკმლის კუთხეები ნაგებია ნათალი ქვით, კედლები ძირითადად აშენებულია რიყის ქვით. მისი შიდა ფართობი უდრის 180მ2-ს, გარეთა ფართობი კი კედლებიანად 200მ2-ს. ეკლესია თავდაპირველად გადახურული იყო ლომფიერის ქვით, მისი ნაშთები დღესაც შემორჩენილია ეკლესიის ტერიტორიაზე. ამჟამად ეკლესიას თუნუქის სახურავი აქვს. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთით კარები კედლის ცენტრში მდებარეობს. იგი თაღოვანია და შემკულია ძვირფასი ჩუქურთმით. სამხრეთის კარი კედლის დასავლეთითაა და სწორკუთხაა. მასაც გარშემო ჩუქურთმა ამკობს. მის მაღლა, სავარაუდოა წმინდანებისა და ანგელოზების გამოსახულებების არსებობა. მის ქვემოთ ვაზის რელიეფური გამოსახულებაა მოთავსებული. 1886 წელს ეკლესია მოუნახულებია ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საგარეჯოში პირველი სკოლის დამაარსებელს ალ. ცხვედაძეს, რომელსაც თავისი მოწაფეების საშუალებით დეტალურად აღუწერია ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა. ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ სამხრეთით არსებულ შესასვლელზე გამოსახული ყოფილა ქტიტორის პორტრეტი, რომელიც დღესაც არსებობს. ეკლესიის ინტერიერი მარტივადაა შესრულებული. დარბაზის გრძელ კედლებზე 3 წყვილი მარტივი პილასტრაა, რომელიც ასევე მარტივი ორნამენტით შემკული კაპიტელებით მთავრდება. პილასტრებს ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის სამჯერი თაღი, კამარები ნაშენია აგურით. პილასტრებს შორის დატანებულია ორი წყვილი სარკმელი. სარკმლები დატანებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებშიც. პილასტრების აყოლებით სარკმლებს მაღლა იკვრება თაღები, რომლებიც ეკლესიის მთლიან არქიტექტურაში ერთადერთი სპარსული ელემენტია. ეკლესიის იატაკი სუფთა, ოთკუთხა აგურითაა მოპირკეთებული. დასავლეთის კედელში ჩატანებულია ორი თაღოვანი თახჩა, რომელიც, ალბათ, წიგნების შესანახად იყო გამიზნული. ეკლესიის აღმოსავლეთით, როგორც წესი, მოთავსებულია საკურთხეველი. ამ რამდენიმე წლის წინ ეკლესიას კანკელი არ გააჩნდა და საკურთხეველი მხოლოდ ამაღლებული ადგილით გამოიყოფოდა. საკურთხეველშიც ჩატანებულია თაღჩები საღვთისმეტყველო ინვენტარის შესანახად. ამჟამად ეკლესიას არანაირი მოხატულობა არ გააჩნდა, მაგრამ შესაძლოა ადრე იყო. პეტრე-პავლეს ეკლესიის ჩრდილოეთით 9 მ-ის დაშორებით შემორჩენილი აქვს ნანგრევი კედლები. მისი ინტერიერი გვაფიქრებინებს, რომ აქ აშენებული იყო დამხმარე ნაგებობები: საცხოვრებელი სახლი ბერებისათვის და მამულების მმართველი მოურავისთვის, მარანი, სადაც ღვინოს ინახავდნენ. ონოფრე მაჭუტაძე აქ ხშირად ამოდიოდა სამეურნეო თუ პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად. მარანში ჩაყრილი იყო ქვევრები 9 საპალნე ღვინისათვის. აქედან 4 საპალნე ადგილზევე უნდა დალეულიყო, 1 გარეჯის უდაბნოში ბერებისათვის უნდა გაგზავნილიყო, დანარჩენი გაყიდულიყო და აღებული ფული ბერების საჭმლის შეძენას და სამსახურს უნდა მოხმარებოდა. დღეისათვის მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი, რომლის მიხედვით იგი შესაძლოა 18 მ. სიგრძის და 8 მ. სიგანის იყო. შეინიშნება ქვევრების განლაგებაც, რომელიც მოპარულია. შენობა შუაზე ქვითკირის კედლით იყოფოდა, აღმოსავლეთ ნაწილში მარანი იყო, დასავლეთში – სასტუმრო. ონოფრე მაჭუტაძემ გარდა იმისა, რომ სამეურნეო ცხოვრება ააღორძინა უდაბნოში, არც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეები დარჩენია უყურადღებოდ. მან თავის გარშემო შემოიკრიბა კულტურის მოღვაწეები, რომელთა დახმარებით გარეჯის უდაბნოში შესანიშნავი წიგნთსაცავი შექმნა ძველქართულ-ბიბლიური, ფილოსოფიური, აგიოგრაფიული თუ საინტერესო ხელნაწერებითა და სტამბური წესით დაბეჭდილი საღვთისმსახურო წიგნებით, ლიტერატურა განკუთვნილი იყო უდაბნოს მონასტრის ბერებისათვის, გარეთ გატანა არ შეიძლებოდა. გამონაკლისი ნებადართული იყო სოფ. თვალზე პეტრე-პავლეს საყდარში, რომელიც თვით დავით-გარეჯას საკუთრებას წარმოადგენდა. თუ როდემდე იარსება პეტრე-პავლესთან ამ წიგნთსაცავმა არც წყაროებში ჩანს, არც მოსახლეობას ახსოვს. პეტრე-პავლეს ეკლესია სპეციალურად, შესწავლის მიზნით 1929 წ. ინახულა ხელოვნებათმცოდნეობის უდიდესმა სპეციალისტმა პროფ. მ. ჩუბინაშვილმა და ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა ვრცლად ასახა თავის გამოკვლევაში „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები". მაშინდელი აღწერით ეკლესია კარგ მდგომარეობაში იყო, თუმცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს ბზარი თანდათან მატულობდა. შემდეგ კი ეკლესიის დანგრევის საშიშროებაც კი შეიქმნა. სახურავზე უამრავი მცენარე (მათ შორის ბუჩქები, ხეები) ამოვიდა, შიგნით წვიმა ჩადიოდა. 1976 წ. ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა, გადაიხურა მოთუთიავებული სახურავით.

ამჟამად ტაძარში წირვა-ლოცვას მღვდელი ლაზარე (ბუჩუკური) აღავლენს.

ტკბილ ხარ შენ, უფალო!
ფოგა

ქრისტე იშვა ბეთლემში. ღარიბებო, ქრისტე იშვა სიღარიბეში! მდიდრებო, ქრისტე იშვა სიღარიბის სიმდიდრეში!მართლმადიდებლებო, ქრისტე იშვა თავმდაბლობის სიდიადეში! ქვითა და ოქროვერცხლით ხელითქმნილი ტაძრის მაშენებლებო, ქრისტე იშვა პირუტყვთა სადგომში! სრა-სასახლეთა მეხოტბენო, ქრისტე იშვა ფიცრულ ბაგაში! სასულიერონო, ქრისტე იშვა მოკრძალებაში, სიყვარულის მორჩილებაში! ხელისუფალნო, ქრისტე იშვა მიუკერძოებელი მსაჯულის სამართლიანობაში! მაგრამ, იშვა ქრისტე ჩვენს გულში?! თითქმის ყოველი ჩვენგანი ვდღესასწაულობთ შობის ბრწყინვალებას, მაგრამ, გვავიწყდება, რომ ღარიბ-ღატაკთა დაუცხრომელი ქომაგი, განსაცდელში და მწუხარებაში მყოფთა თანა მწუხარე, მგლოვიარეთა თანა მგლოვიარე, უსახლკაროთა თანა უსახლკარო, მშიერთა, სამოსლის არმქონეთა თანა მშიერი და შიშველი. თავისუფლება აღკვეთლთა თანა თავისუფლება აღკვეთილი, დამცირებულთა თანა დამცირებული, გარიყულთა თანა გარიყული, მიტოვებულთა თანა მიტოვებული, ყოველწუთიერად დადის ქრისტე ჩვენს შორის. ესაია წინასწრმეტყველის ბაგემ აღმოთქვა ქრისტეს შობამდე მისი შობა და მისმა ბაგემ აღმოთქვა ეს სიტყვებიც: „ისმინე ცაო და ყურადიღე ქვეყანავ, რადგან უფალი ლაპარაკობს: ტერფიდან თხემამდე სადი ადგილი აღარ შეგრჩათ; ყველგან ჭრილობა და წყლული გაქვთ მალამოთი დაუამებელი. თქვენი ზეიმები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიდვით. ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ისწავლეთ სიკეთის კეთება, ეძებეთ სამართალი, გაკიცხეთ მჩაგვრელი, სამართალი გაუჩინეთ უმამო ბავშვს, ქვრივს გამოესარჩლეთ. ყოველი მათგანი ქრთამის მოყვარულია და ძღვენს არის დახარბებული. ის, რაც საწყალს ძარცვით წაართვით, სახლებში ინახავთ.რატომ ჩაგრავთ ჩემს ხალხს და ავიწროებთ საწყლებს? ვაი მათ, ვინც ბოროტს მართლად აცხადებს და მართალს სიმართლეს ართმევს!" ამპარტავნობის ტყვეობაში, თვითკმაყოფილებასა და ერთმანეთის შეურაცხყოფაში, ცილისწამებასა და ურთიერთ ჩასაფრებაში, მევახშეობა-ანგარების, გამორჩენისა და გამოყენების, უსიყვარულობასა და უპატივცემულობაში, სხვისი უბედურებისა და შურის მსახურებაში არ იდიდება ყოველთა დამბადებელი მაცხოვარი. რამდენი ჩვენი თანამოქალაქე დარჩა უსახლ-კარო, რამდენი იქცა ხიზნად, რამდენს დაენგრა ოჯახი, რამდენი ადამიანი მივიდა სულიერი და ფიზიკური განადგურების პირას. რამდენმა მოიკლა თავი, სულიერი თუ ფიზიკური განსაცდელის სიმძიმით. რამდენი მზრუნველობას მოკლებული ბავშვი და მოზარდი შევმატეთ ქვეყანას, რამდენს წავართვით ცხოვრება. რამდენი გაღატაკდა უსინდისოთა გასამდიდრებლად. სასოწარკვეთილი და ეულად ქცეული ვერ შეძლებს ვერც ქვეყნის პროდუქციულ მოქალაქეობას და ვერც ღმერთის დიდებას, რადგან დასუსტებული და ღონემიხდილი ადამიანი სულიერად კვდება. ასე გადავაქციეთ ჩვენი სამშობლო სულიერ და ფიზიკურ ცხედართა სამყოფელად. რამდენი ჩვენი თანამემულეც იქნა გამწარებული და გაუბედურებული ათწლეულობის მანძილზე ჩვენს თანამედროვეობაში, იმდენი ქვა დაიდო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ცხოვრების წარუმატებლობისთვის. ეს ქვები იქცა ჯერ ლოდებად, ხოლო შემდეგ ცათამბრჯენ წინაღობად, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქვის ტაძრები ვაშენეთ, სულის ტაძარი კი უკიდურესად ვძარცვეთ. თუ სულის ტაძარი ზიანდება, მაშინ რომელი ტაძარი შენდება?!

მთავარეპისკოპოსი *ზენონი იარაჯული*

„თეატრი იყო ურთიერთობა“

ჩვენი თეატრი 142 წლისაა

ბადრი დრეიძე – *საგარეჯოს თეატრალური დასის წევრი:*

„ჩვენი თეატრი უფრო დიდი ასაკისაა, ვიდრე რომელიმე ქართული თეატრი“...

კურიოზები ყველგანაა, მით უმეტეს თეატრალურ ცხოვრებაში. ამჯერად, როგორც იქნა საუბარზე დავითანხმეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მატიანის შექმნისათვის მართლაც აქტიური საქმიანობით დაკავებული საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი და გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საგარეჯოს მიხეილ ჯიაურელის სახელობის თეატრის დასის წევრი <u>ბადრი დრეიძე:</u>

თეატრში 18 წლისა მივედი. საოცარი ადამიანები დამხვდნენ, რომელთაც ისედაც კარგად ვიცნობდი და თვითონაც ფესვებიდან მიცნობდნენ – მე ხომ მსახიობ ირინე ჯაფარიძის შვილიშვილი ვარ. ამდენად, მეგობრული, თბილი ადამიანები იყვნენ: ჯიმშერ ძაბილაშვილი, ვახტანგ ჩეკურიშვილი, სოსო ვარდიაშვილი, შოთა ბაზერაშვილი, ეთერ თედიაშვილი, გიორგი არაბული... ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც გატარებული თუნდაც ერთი დღე ნამდვილი სკოლა იყო მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის. თეატრის დირექტორი მაშინ ჯიმშერ ძაბილაშვილი იყო (ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ დაბადებიდან 89 წლის შესრულებას), რომელიც გაგაოცებდათ ორგანიზატორული ნიჭის იქით კაცურ-კაცობითა და ადამიანობით. ყოველი რეპეტიცია კი იწყებოდა ქალბატონი ეთერ თედიაშვილის შემონათვალით – ბადრი, შვილო, ამოდი, პატარა კალათით საჭმელი ჩამატანინეო და ეს პატარა კი არა, დიდი კალათი იყო სავსე სურსათ-სანოვაგით. მშიერი როგორ დადგებით რეპეტიციაზეო... ეს 90-იან წლებამდე იყო.

...უშუქობის წლებია. ჩაბნელებულ სცენაზე მიდიოდა ხოლმე რეპეტიციები. რეჟისორი ლადო ცხვარაიაშვილი ამზადებს ფრანგი მწერლის რობერ ტომას პიესას „მახე“. სიბნელის გამო ვაღებდით თეატრის აღმოსავლეთის კარებს და იქიდან შემოსული დღის სინათლის წყალობით, მაგრამ მაინც უსინათლოებივით ფრთხილად დავდიოდით სცენაზე... მოგვეწოდებოდა თუ არა ელექტროენერგია, არ ვიცი, მისი მოსვლით აღტაცებულები თუ ერთმანეთის დანახვით გამოწვეული სიხარულით ვიცინოდით, ვიცინოდით და ვედარ ვჩერდებოდით, რაც რეჟისორის რისხვას იწვევდა, მაგრამ, რა გვექნა?!..

სპექტაკლს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ვამზადებთ. ამ სპექტაკლში როლის გარდა, სიმღერაც უნდა შევასრულო. ყოველ რეპეტიციაზე ლადო ცხვარაიაშვილი მეკითხება – ბადრი, სიმღერას ხომ შეასრულებო. მეც დასტურად თავსაც ვუქნევ და სიტყვიერადაც ვეთანხმები. გადის დრო. მიშა ხოკერაშვილმა მომიტანა სიმღერის ტექსტი. მოკლე დროში ვერ დავიმახსოვრე, ამიტომ დავწერე დიდი შრიფტით და სცენაზე მდგარ დიდ კუნძზე დავაკარი, მშვენივრად ვკითხულობ და გიტარაზე ვმღერი (რეპეტიციაზე პრემიერამდე). სადამოს პრემიერაზე მოვიმარჯვე გიტარა, ჩემი სიმღერის შესასრულებლად გავედი და გამოჩნდა შოთა ბაზერაშვილიც (პარუნ ოსეფა), წავიდა და დაჯდა იმ კუნძზე, ვანიშნებ თვალით, რომ ადგეს, მოვასწარი ერთი სტრიქონის წაღიღინება, დანარჩენ ტექსტს არაფრით თმობს პარუნ ოსეფა, ჩემს ვითომდა სიმღერაზე იბადრება, მაქებს, მაგრამ ჩემმა სიმღერამ მხოლოდ ტრალალაში ჩაიარა – ტექსტი არ ვიცოდი და რა მექნა?!

2005 წლის 1 ივნისისთვის ვ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექიათი“ უნდა წარედგეთ საგარეჯოელი მაყურებლის წინაშე. 500 ლარი ქალაქის მაშინდელმა მერმა გელა კევლიშვილმა ჩაგვირიცხა სპექტაკლისთვის. რა ვქნათ? ეს თანხა სცენის დეკორაციებისთვის არ გვყოფნის. გვახსოვს, სადაც სათლებით საღებავები გვაქვს, მოვძებნეთ, გავხსენით და დიდი გულმოდგინებით შევღებეთ ქსოვილები... სცენაზე თითქოს ვერ შევნიშნეთ და სინათლეზე?!.. ლურჯი საღებავით საერთოდ ფერები აღარ შეგვრჩენოდა არც სახეზე, არც ხელებზე, არც ტანსაცმელზე – ლურჯი მელიებივით გამოვიყურებოდით, მაგრამ, მადლობა ღმერთს ლურჯი საღებავები მაინც გვქონდა.

ჩვენს მაყურებელს გავახსენებ გასული საუკუნის 80-იანი წლებს, საოცარი ერთგულებით და ინტერესით რომ ედგნენ გვერდში თეატრს. 1987 წელს სპექტაკლი „კუკარაჩა“ დავდგით. სცენაზე 35 კაცი ვიდექით ხოლმე.ერთმანეთის მიყოლებით 18-ჯერ წარმოვადგინეთ სპექტაკლი. მაყურებელი არ მცირდებოდა, პირიქით, ზოგი იქნებ 18-ჯერაც მოვიდა მის სანახავად...

ეს სიყვარული კი თაობიდან თაობას გადმოეცემოდა. პირველი თეატრი 1876 წლის 6 იანვარს დაარსდა საგარეჯოში ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ცხვედაძის მიერ. შემდეგ კი, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგაც არ მოჰკლებია ჩვენს თეატრს მაყურებლის ყურადღება. ისე, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვება (1940 წ) იყო საგარეჯოელი სიმონ ქოქიური, რომელიც შემდეგ საგარეჯოს მვენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი იყო... მაგრამ, სცენაზე იდგნენ საკმაოდ წარმატებული და ნიჭიერი არაპროფესიონალები. როგორია სპექტაკლ „არშინ მალალაში“ საგარეჯოელებისათვის უსაყვარლესი პედაგოგები დარია მაისურაძე და ელენე გოდერძიშვილი სიმღერას რომ შეასრულებენ?!..

კურიოზებს რა დალევს სცენაზე. სულ ორიოდე წლის წინ რეჟისორ ნიკა საბაშვილის სპექტაკლი „სისტემა“ წარმოვადგინეთ. მოხუცებულთა თავშესაფარის ბინადარის – სკლეროზიანი მამის როლს ვასრულებდი. სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობი ნანული ბილანიშვილი არანაკლებ „სკლეროზიანი“ აღმოჩნდა. პიესაში იყო ასეთი ეპიზოდი – ნანული შემოდის და მეუბნება – შე საცოდავო, შენ არც გახსოვს შვილი, მაგრამ მაინც გეტყვი, მამა მოგიკვდაო, შვილის მაგივრად მამის სიკვდილი მაცნობა. ასეთ შემთხვევაში კი არა, ნებისმიერ შემთხვევაში სცენაზე გიჭირს თავის შეკავება. თუ ერთმა გაიცინა, მაშინ სიცილი გადამდები ხდება.

ჩვენი გაზეთის საშუალებით მინდა საგარეჯოს თეატრის დაარსებიდან 142 წლისთავი და ქართული თეატრის დღე – 14 იანვარი მივულოცო ჩვენი თეატრალური დასის წევრებს, ყველას, ვისაც საგარეჯოს თეატრის სცენაზე უთამაშია, ვისაც უყვარს ჩვენი თეატრი, ვინც გვერდში გვიდგას. ისე კი შეგახსენებდით და გეტყვით, გიხაროდეს. ჩვენი პროფესიული თეატრი უფრო ასაკოვანია, ვიდრე რომელიმე ქართული თეატრი. მოგეხსენებათ 1879 წელს გაიხსნა პროფესიული თეატრი თბილისში, რომელსაც 1922 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი ეწოდა.

პირველობენ ჩვენი ვეფხვები

2017 წელი მართლაც წარმატებული გამოდგა რაგბის კლუბ „პატარძეულის ვეფხვებისათვის“. სწორედ მათ წარმატებებზე გვესაუბრება

სანდრო პავლიაშვილი –

კლუბ „პატარძეულის ვეფხვების“ მწვრთნელი:

კაცთა გუნდმა, რომელშიც 45 მორაგბე ირიცხება პირველი ლიგის 2016-2017 წლების გათამაშებაში (მასში 8 გუნდი მონაწილეობს), მესამე ადგილი დაიკავა და საპრიზო თანხაც მოვიგეთ, რამაც გუნდის გაძლიერების საშუალება მოგვცა. გუნდში დავიმატეთ უფრო ძლიერი მოთამაშეები, რომლებიც ჩვენი კლუბის აღზრდილები არიან და უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშობდნენ. ამან კი შედეგი გამოიღო და 2017-2018 წლების სეზონში 7 მოგებით და 2 მარცხით I ადგილზე ვართ და უმაღლეს ლიგაში ასასვლელად 5 მატჩის მოგება გვაკლია. 2017 წელს ასევე, მოვახერხეთ ტრენაჟორების შეძენა, რამაც საკმაოდ დიდი შედეგათი მოგვცა – ჩვენ მანამდე თბილისში დარბაზის დაქირავება გვიხდებოდა.

ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში, რომელშიც 42 გუნდი თამაშობს, მე-16 ადგილი დავიკავეთ. ამ ასაკში მოთამაშეთა ნაკლებობაა, რაც შედეგებზეც აისახა. სულ 22 მორაგბეა. აღნიშნულ გუნდს ჩვენს კლუბში აღზრდილი ზაურ შაქარაშვილი ავარჯიშებს.

ბავშვთა გუნდების სამი ასაკობრივი კატეგორია გვყავს: 14 წლამდე, 12 წლამდე და 10 წლამდე. აქ ძირითადად ფესტივალები ტარდება. მხოლოდ 14 წლამდელებში ტარდება ტურნირები. წელს ყაზბეგში მესამე ადგილი დავიკავეთ. მაისში კი ვიმყოფებოდით აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სადაც ფინალი დავთმეთ რუსეთის რეგიონების ნაკრებთან. ამ გუნდს გიორგი ქვლივიძე ხელმძღვანელობს, რომელიც ჩვენი კლუბის აღზრდილია და საკმაოდ წარმატებულადაც ართმევს თავს.

14 და 12 წლამდელებში 36 მორაგბეა გაერთიანებული. 10 წლამდელებს ფრიდონ ბუნაშვილი ავარჯიშებს, აქ 24 ბავშვია. აქცენტი აქ ხალისზე და ბავშვის მიჩვევაზე კეთდება. თითქმის ყველა ფესტივალიდან წარმატებით ბრუნდებიან. წელს მიწვევა მივიღეთ ბერლინის რაგბის კლუბიდან და 5-10 თებერვალს მივემგზავრებით გერმანიაში ჭაბუკთა და 14 წლამდელთა გუნდებით.

მნიშვნელოვანი სიახლეა სპონსორების მხრიდან. ადგილობრივი ნავთობკომპანია KBOC-თან გაფორმდა ხელშეკრულება. აღნიშნული კომპანია დაგვეხმარება ფინანსურად, ასევე, შეგვიკვეთავს ფორმებსა და ორგანიზებას გაუკეთებს ბავშვთა ერთ ტურნირს. ჩვენ კი მათი კომპანიის რეკლამა გვევალება.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის ხელმძღვანელობის გვერდში დგომა. ისინი ყოველგვარი აფიშირების გარეშე აკეთებენ თავიანთ ქველმოქმედებას. წელს ვფიქრობთ სტადიონზე მათი ფაბრიკის შესახებ ბანერები გავაკეთოთ, ოღონდ მათი თანხმობის შემთხვევაში.

დიდი სურვილი გვაქვს, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებმა დაინტერესება გამოიჩინონ ჩვენს მიმართ, შეგვაშველონ ხელი, ჩვენ კი მათ რეკლამას ვთავაზობთ, ჩვენ ხომ საქართველოში ყველაზე წარმატებული სპორტის მიმდევრები ვართ!

სპორტი

<u>ჭადრაკი</u>

გურჯაანის მუნიციპალიტეტის თასს ზუკა გამრეკელაშვილი დაეუფლა

23 დეკემბერს გურჯაანში ნანა იოსელიანისა და გია გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ღია ჩემპიონატი ჭადრაკში მოსწავლეთა შორის.

პირველობაში თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის და გურჯაანის მოჭადრაკეებთან საპაექროდ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელებიც იყვნენ ჩაბმული და საუკეთესოდაც იასპარეზეს. მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი არავის დაუთმო და გურჯაანის მუნიციპალიტეტის თასი მოიპოვა 10 წლის ზუკა გამრეკელაშვილმა. II ადგილზე გავიდა და ჭადრაკის დაფით დაჯილდოვდა იოანე ინაშვილი. ირაკლი ქვლივიძის განმარტებით ასევე წარმატებით იასპარეზეს საბა დუჩიძემ (9წლის) და ლევან გენგაშვილმა (8 წლის).

გ. დაგახიშვილი

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმაც გვასახელეს

დეკემბრის მიწურულს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამი ფალავანი – დავით ხუციშვილი, ზურაბ ერბოწონაშვილი და გიორგი პასიკაშვილი იღებდნენ მონაწილეობას. მართალია, ჩვენი მოჭიდავეები ამ ასპარეზობაში ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმებით გამოდიოდნენ, მაგრამ ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს ქვეყნის სხვა უძლიერეს მოჭიდავეებს.

დავით ხუციშვილმა და ზურაბ ერბოწონაშვილმა მეორე საპრიზო ადგილები და ვერცხლის მედლები მოიპოვეს შესაბამისად 86 და 74 კგ წონით კატეგორიებში. რაც შეეხება ჩვენს მესამე მოჭიდავეს – გიორგი პასიკაშვილმა შეძლო ნახევარფინალამდე მიღწევა, თუმცა, შემდეგ მოუხდა პოზიციების დათმობა. ჭიდაობის სპეციალისტების აზრით მოტეხილი მხარის რეაბილიტაციის შემდეგ მისი ასეთი ჭიდაობა კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს და მომავალში გიორგი კიდევ იტყვის თავის სიტყვას თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა და საერთოდ ქართული სპორტის ისტორიაში.

<u>კრივი</u>

გორში, საქალაქთაშორისო ტურნირზე

17-20 დეკემბერს გორში ჩატარდა საქალაქთაშორისო შეჯიბრება კრივში ავთანდილ გოგიაშვილის სახელობის პრიზზე, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ჭაბუკი მოკრივეები მონაწილეობდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან ასპარეზობაში აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ორი მოკრივე (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) იყო ჩაბმული და ორივემ შეძლო საპრიზო სამეულში ადგილის დაკავება – 66 კგ წონით კატეგორიაში ვიცე ჩემპიონი გახდა სერგი დოღონაძე, მესამე ადგილი 54 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა ლაშა გორელაშვილმა.

მილოცვა

დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებას ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ***სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს*** **თამაზ ურდულაშვილს**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულებას ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მენეჯერს, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, თბილისის საერთაშორისო ტურნირის არაერთგზის გამარჯვებულს, საზღვარგარეთის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულს, სსრკ-ს პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ტარიელ როსტომაშვილს**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კვლავაც იმ დიდ ერთგულება-ქომაგობას, რასაც ის ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა აღზრდა-განვითარების საქმეში იჩენს.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული
გაერთიანების“ დირექცია,
თანამშრომლები, სპორტსმენები.

სპარტაკ ქარსაულიძეს



დაბადების დღეს ვულოცავთ ყოფილი საბჭოთა კავშირის თავისუფალი ჭიდაობის ნაკრების წევრს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან პირველ სსრკ ჩემპიონს (არსენ მეკოკიშვილის შემდეგ), მსოფლიო თასის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს სპარტაკ ქარსაულიძეს, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

მეგობარ-სპორტსმენების სახელით
ტარიელ როსტომაშვილი

ანზორ აბულაშვილი

წუხელის ბიჭი დაბადებულა

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე დავითი!

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ იმისთვის - ცოტნე,
შენ - ორგულობავ, აბა გაბედე
და გული ჩვენი ისევე კორტნე.

წუხელის შოთაც დაბადებულა,
დაბადებულა თურმე დემეტრე,
განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
რა სიხარული გამოიმეტე!

წუხელ ცის კარი ცხრავე გააღო
ყველა გმირმა და თავდადებულმა,
დაბადებულა თურმე ვახტანგი,
წუხელ დემეტრე დაბადებულა.

საქართველოს ცა, ისეც მაღალი,
უფრორე მეტად ამაღლებულა,
დაბადებულა მთვარე-გიორგი,
თურმე ილია დაბადებულა!

წუხელის მტერი - ერთპირად ჩვენი
მოსპობის მდომი - დადარდებულა;
დაბადებულა თურმე სულხანი,
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.

დაბადებულა ბიჭი პაატა.
გათენებულა წუხელის თეთრად:
დაბადებულა სამასი გმირი,
ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად!

წუხელის გოგოც დაბადებულა,
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თამარი.

დაბადებულა წუხელის ნინო
და ქეთევანი დაბადებულა.
ის ბნელი დამე თურმე უეცრად
ღვთიურის ნათლით განათებულა.

ყველა ზღაპარი - ნაოცნებარი
ახდენილა და გამართლებულა:
დაბადებულა თურმე ნესტანი
და თინათინი დაბადებულა.

და გიხაროდენ! ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის,
ქართლი ხელახლა დაბადებულა!

„დღე-დღევანდელი“

ერის №1 პრობლემა — დემოგრაფია

საგარეჯოს შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ სამეანო-გინეკოლოგიურ მიმართულებაში (უფროსი ლევან ტიგინაშვილი) 1 იანვრის მორიგე სამეანო ბრიგადას (მეანი-ექიმი ლინა ქურთიშვილი, ნეონატოლოგი თამარ კუჭუაშვილი, ბებიაქალი – ნინელი ბასიშვილი, ახალშობლის ექთანი მანჩო ღვინაშვილი, მელოგინის ექთანი – ლია ბეჟიტაშვილი) ახალი წლის დადგომა 22 საათზე (01.01.2018წ) მდედრობითი სქესის, წონით 4600 გრამი, სიგრძე – 55სმ, ანა-მარიამ მიულოცათ. ფეხბედნიერი იყოს მისი ამქვეყნად მოსვლა. მას მოჰყოლოდნენ ბიჭები, გოგონები, ბიჭები, გოგონები და ა.შ.

მემატიანის გადმოცემით საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა 8 მილიონი ადამიანი 1254 წელს ცხოვრობდა. შემდეგ საუკუნეებში კი გამუდმებული საშინაო და საგარეო ომების გამო თანდათანობით შემცირდა ქვეყნის მოსახლეობა. ისევ მემატიანის მიერ მოწვდილი ცნობებით 1770 წელს ქვეყნის მოსახლეობა 761000-მდე შემცირდა. 1800 წელს უკვე 675000 კაცი ცხოვრობდა. მაგრამ, მაშინ „შავი ჭირის“ ეპიდემიამ ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1897 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საყოველთაო აღწერით საქართველოს მოსახლეობა 2109000 იყო. 1989 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 1687037 კაცით შემცირდა. 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერით საქართველოში 3.7 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

საქართველოში 104 ათასი ბავშვი დაიბადა 1961 წელს. ყოველწლიურად 93000 ბავშვი 1960-1990-იან წლებში, 55000 ბავშვი – 1999-2001წლებში, შემდეგ წლებში კი 2016 წლის მონაცემებით 56569 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ამავე დროს გარდაიცვალა 56771 კაცი. 2017 წლის პირველ 6 თვეში 25543 ბავშვი დაიბადა, 25954 ადამიანი კი – გარდაიცვალა. ე.ი. გარდაცვლილებმა დაბადებულების რიცხვს გადააჭარბეს. ამასთან ერთად საქართველოში 800000-ზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს. მსოფლიოში მიღებული სკალით, მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 18 %-ს შეადგენს, საქართველოში კი ამ ციფრებმა უკვე 20%-საც გადააჭარბა.

შობადობასა და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია 90-იანი წლების მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ. ამას თან დაერთო ომები – საქართველოს ტერიტორიული სივრცეების დაკარგვა, საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით მოსახლეობის ასეულ ათასობით გადინება, მსჯავდებულთა რაოდენობის წლობით ზრდა. ემიგრაციაში ახალგაზრდა გოგონები არიან, პატიმრების და პრობაციონერების უმეტესობა – 90% ახალგაზრდა ვაჟები. ე.ი. ქვეყნის გენოფონდი, მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც ერი უნდა გაამრავლოს ქვეყანაში.

ბოლო ხანს, შობადობის გაზრდის მიზნით ქვეყნის მთავრობამ და ხელისუფლებამ შობადობის წასახალისებლად მიმართა მთელ რიგ ღონისძიებებს (მესამე ბავშვის დაბადებაზე ოჯახი ორი წლის განმავლობაში დახმარების სახით ყოველთვიურად 150 ლარს იღებს, მთის ზონაში კი – 200 ლარს). შობადობის გაზრდაზე ასევე, დადებითი გავლენა იქონია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ოჯახისათვის მე-3 და მეტი შვილის შემთხვევაში ნათლობის შეთავაზებამ. ორი წლის განმავლობაში 492 ბავშვი დაიბადა, რიგით მე-5 და რიგით მე-6.

ახალგაზრდა ოჯახების წასახალისებლად, მეტი შვილის ყოლის სურვილის გასადვივებლად მხოლოდ მთავრობის და ხელისუფლების თანადგომა არ ჰყოფნის. აქ მთავარია საქართველოს სიყვარული, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის ამაღლება. ჟინვალის სასაფლაოზე, საფლავის ქვაზე წერია: „მშობლებს 18 შვილი ვყავდით, მე 19 შვილს ვუტოვებ სამშობლოს, შენ?!“ ასინეთ შავერზაშვილი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თამარ ყუშიტაშვილსა და ზურაბ აგულაშვილს მამისა და სიმამრის

რევაზ ყუშიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საგარეჯოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის

ჭაბუკა ჭანტურიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ჭირისუფლებს.